საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის
ბრძანება №3

2019 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს დანართი №1-ში მოცემული მონაცემი.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვალერიან ხასაშვილი

დანართი 1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
408	***სახელები:*** 1. ჰამზა (HAMZA) 2. უსამა (USAMA) 3. მუჰამმად (MUHAMMAD) 4. ბინ ლადენ (BIN LADEN) ***დაბადების თარიღი:*** 09.05.1989 ***დაბადების ადგილი:*** ჯედა, საუდის არაბეთი ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** საუდის არაბეთი		***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**28.02.19**	უსამა ბინ ლადენის (გარდაცვლილი) შვილი. აიმან მუჰამედ რაბი ალ-ზავაჰირის მიერ (ფიზიკურ პირთა სიაში 78-ე), გამოცხადდა, როგორც ალ-ქაიდას წევრი. (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე). მოუწოდებდა ალ-ქაიდას მიმდევრებს ტერორისტული აქტების ჩატარებაზე. ივარაუდება, ალ ზავაჰირის ყველაზე შესაძლო შემცვლელად. ინტერპოლის უშიშროების საბჭოს სპეციალური განცხადების მისამართი: https://www.interpol.int/en/notice/search/un/xxxx .